სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 იანვარი, 2024 წ

ბრძანება N 01-02/01

2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რუსეს უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობისთვის ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/89 დადგენილების, „ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (15.01.2024 წლის №23443) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის „ერაზმუს+“ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რუსეს უნივერსიტეტში (ბულგარეთი) საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები:**

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) - **2024 წლის 17 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით, 15:00 საათამდე:**

ა) აკადემიური პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით;

ბ) მოწვეული მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge და ელექტრონულ ფოსტაზე info@bsu.edu.ge.

1.2. **წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და შეფასება - 2024 წლის 29 იანვარი,** 11:00-13:00 საათი (შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი);

1.3. **კონკურსანტთა გასაუბრება კომისიასთან - 2024 წლის 30 იანვარი, 12:00 საათი;**

1.4. ბსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად ნომინირებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მიმღები უნივერსიტეტისათვის - **2024 წლის 31 იანვარი.**

2. დამტკიცდეს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით **საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - თავმჯდომარე, რექტორი;

ბ) ანზორ ბერიძე - თავმჯდომარის მოადგილე, რექტორის მოადგილე;

გ) თამარ სირაძე - რექტორის მოადგილე;

დ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ე) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ვ) ნანა ყურშუბაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ერაზმუს+ კოორდინატორი ბსუ-ში;
ზ) ლელა თურმანიძე- ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი.
3. კონკურსის წესით შერჩევა განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით დამტკიცებული ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესით'' და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**